ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 658

“20” დეკემბერი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, მაზნიაშვილის ქუჩა №33-ში (საკადასტრო კოდი: №01.16.05.017.002.01.542) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს #21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას “ქალაქ თბილისში, მაზნიაშვილის ქუჩა №33-ში (საკადასტრო კოდი: №01.16.05.017.002.01.542) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 18 დეკემბრის №24.2173.2438 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, მაზნიაშვილის ქუჩა №33-ში, პირველ სართულზე, ლიტერ ,,ა“-ში, არსებული 77.50 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.16.05.017.002.01.542) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე ნელი მახარაძისთვის (პ/ნ: 01027035410) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე